საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/5891
21/11/2025

5891-01-2-202511211035

ი/მ რომანოზ შეროზიას (19001028014)

ელ-ფოსტა: elisokezua555@mail.com

გაცნობებთ, სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში- სააგენტო) შემოვიდა მოქალაქე
(შემდგომში - მომხმარებელი/განმცხადებელი) 2025 წლის 12 ნოემბრის №01/6976 განცხადება, რომლის საფუძველზე სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 19 ნოემბრის №04/1358 ბრძანებით, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ი/მ რომანოზ შეროზიას (პ/ნ 19001028014) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

განცხადების თანახმად, მომხმარებელმა მოვაჭრისგან შეიძინა ოქროს ნაკეთობა-ბეჭედი განვადებით, თუმცა მისი განმარტებით შეთანხმების შედეგად ნივთს თანხის სრულად გადახდის შემდეგ მიიღებდა. ნივთის ღირებულების დაფარვის მიუხედავად, მოვაჭრე არ აწვდის მომხმარებელს შეძენილ ბეჭედს.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:
ა)ჰყავდეს წარმომადგენელი;
ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;
გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;
დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;
ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, შემთხვევაში სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;

ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

დანართის სახით გიგზავნით სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 19 ნოემბრის №04/1358 ბრძანების ასლს და მომხმარებლის განცხადებას. ამასთან პროცედურის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გთხოვთ, წერილის ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით, ამასთან, ამავე ვადაში გთხოვთ მოგვაწოდოთ - ი/მ რომანოზ შეროზიას სავაჭრო პოლიტიკა-ადგილზე ვაჭრობის შემთხვევაში, სრული სახით.

დანართი: „11“ ფურცელი.

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/6666
30/12/2025

6666-01-2-202512301712

ი/მ რომანოზ შეროზიას (19001028014)
ელ-ფოსტა: elisokezua555@mail.com

როგორც თქვენთვის ცნობილია სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 19 ნოემბრის №04/1358 ბრძანებით, სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ი/მ რომანოზ შეროზიას (პ/ნ 19001028014) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით, აღნიშნულის საფუძველზე,სააგენტომ **2025 წლის 19 ნოემბრის №04/1358 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო**
2025 წლის 30 დეკემბრის N01/8157 განცხადება.

კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს განცხადება მომხმარებლის უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს: ა) ჰყავდეს წარმომადგენელი; ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე; გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით; დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება; ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge

მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია ელენა მაისურაძის 2025 წლის 30 დეკემბრის №01/8157 განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დანართი: „10“ ფურცელი.

ამათი ამაროვი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი